

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის
განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის
2020 წლის 6 თვის ანგარიში

2020 წლის ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ღონისძიებათა პროგრამის ღირებულება წლის დასაწყისში განისაზღვრა 87 ათასი ლარით. თითოეულ მიმართულებაზე: კულტურული ღონისძიებების დაფინანსება - 37 ათასი ლარი, სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 25 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება - 25 ათასი ლარი. თითოეულ მიმართულებაზე დამტკიცებულ იქნა 2020 წლის ღონისძიებათა გეგმა, ხოლო გეგმის მიხედვით შემუშავებულ იქნა ცალკეული ღონისძიებების სამოქმედო პროგრამა, მაგრამ ვირუსული ინფექციის პანდემიის გამო ღონისძიებათა გეგმები შეიცვალა და ბიუჯეტის კორექტირება აუცილებელი გახდა რიგი პრიორიტეტული საკითხების გათვალისწინებით.

საქართველოს მთავრობის მიერ ახალდაფუძნებულმა სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“-მ მ/წლის თებერვლის თვეში გამოაცხადა მილიონიანი საგრანტო კონკურსი, რომლის მიზანია რეგიონებში ახალგაზრდული ორგანიზაციების გაძლიერება და არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა. ბაღდათის მუნიციპალიტეტი აქტიურად ჩაერთო საგრანტო კონკურსში და განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელშეწყობით, მათ შორის კონკურსის პირობების საგარანტიო უზრუნველყოფით ახალგაზრდობის სააგენტოში დარეგისტრირდა ორი საგრანტო განაცხადი: 1. ახალგაზრდული სივრცის მოწყობა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა ადგილობრივ და საზოგადოებრივ ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, 2. არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა. განაცხადი - ახალგაზრდული სივრცის მოწყობის და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა ადგილობრივ და საზოგადოებრივ ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში მოწონებულ იქნა. ამჟამად განაცხადი ექსპერტების დეტალურ ანალიზს გადის და ივნისის ბოლოს გამოვლინდება საბოლოო გამარჯვებულები, რეგიონების მიხედვით დაფინანსდება 2-3 პროექტი.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს პარლამენტის და „ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისათვის“ ფინანსური მხარდაჭერით უკვე ხუთ წელზე მეტია ტარდება ახალგაზრდული გარემოსდაცვითი კონკურსი „ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია“, რომლის მიზანია ტყის მდგრადი მართვა საქართველოში. ბაღდათელი ახალგაზრდები ყოველწლიურად აქტიურად იღებენ მონაწილეობას და ბოლო ორი წლის სასკოლო პრემიის გამარჯვებულები არიან. პროექტის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა მუნიციპალიტეტის თვითმმართველობასა და ქ. ბაღდათის #2 საჯარო სკოლას შორის, რომლის ფარგლებში კლუბს აღმოეჩინა კონკურსის პირობებით გათვალისწინებული მატერიალური მხარდაჭერა.

1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხუთ და მეტშვილიან 14 ოჯახს გადაეცა ფულადი საჩუქარი 100 (ასი) ლარის ოდენობით.

ქვეყანაში კორონავირუსის ეპიდემიასთან ბრძოლის ღონისძიებათა ფარგლებში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების მიერ სასწავლო პროცესი გაგრძელდა დისტანციურ რეჟიმში. აქედან გამომდინარე, ბავშვთა კეთილდღეობისა და მათზე ზრუნვის მიზნით, საკვები პროფუქტები, რომლებიც ამ პერიოდში ბავშვების კვებისათვის იყო განკუთვნილი, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ იქნა შესყიდული, რომელიც განათლების კულტურის და სპორტის სამსახურის და სკოლამდელი და სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების მიერ დაფასოვდა და გადაეცა 769 საბავშვო ბაღის აღსაზრდელს. ამჟამად მიმდინარეობს პროდუქტების შეძენის მეორე ეტაპი, რომელიც უახლოეს დღეებში გადაეცემა აღსაზრდელს.

იმერეთის რეგიონის მასშტაბით თებერვლის თვეში ჩატარდა მუსიკალური ფესტივალი „ამღერებული იმერეთი“. ფესტივალზე ბაღდათის მუნიციპალიტეტი 3 ნომრით იყო წარმოდგენილი. მუსიკალურმა შესრულებამ მსმენელთა მოწონება და ოვაცია დაიმსახურა.

აქტიურად გამოვეხმაურეთ სპორტის საერთაშორისო დღეს, რომლის ფარგლებში ჩატარდა „თეთრი ბარათის“ აქცია დევიზით: საერთაშორისო სპორტის დღე მშვიდობისა და განვითარებისათვის.

ოლიმპიზმის საერთაშორისო დღეს (23 ივნისი) დაგეგმილია მარათონული გარბენი, სადაც გათვალისწინებული იქნება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი, მსოფლიოში გავრცელებულ ვირუსულ პანდემიასთან ბრძოლის ყველა რეკომენდაცია.